ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №779434

ნომერი: AR1144487

თარიღი : 05.07.2013

გაცემის თარიღი : 08.07.2013

გაცნობის თარიღი : 08.07.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მაზნიაშვილი , N 4 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მაზნიაშვილი , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნუგზარ დვალი პ/ნ 01002006260
- თბილისი შ.ნუცუბიძის ქ. N 221 კორ. 1"ა" ბ. 21

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მაზნიაშვილის ქ. N4–ში მდებარე შენობაზე მინაბლოკის ნაცვლად მეტალოპლასტმასის ფანჯრების მოწყობის საკითხს.

გაცნობებთ, რომ მინაბლოკის ნაცვლად მეტალოპლასტმასის ფანჯრების მოწყობით ირღვევა სამეზობლო მიჯნები; საჭიროა წარმოადგინოთ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მომიჯნავე მიწის ნაკვეთის საკუთრების თაობაზე და შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა (მესაკუთრეთა 100%–ის თანხმობა) ფანჯრების მოწყობასთან დაკავშირებით.

ამასთანავე, თქვენს მიერ წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:

1. არ არის აწრმოდგენილი ამონაწერები საჯარო რეესტრიდან ყველა სარეკონსტრუქციო ფართის საკუთრების თაობაზე და შესაბამისი თანხმობები (დამოწმებული შესაბამისი წესით);
2. არ არის წარმოდგენილი შესაბამისი წესით დამოწმებული მინდობილობა განმცხადებლის სახელზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7) დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge